| სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალის" აქციონერებს | To Shareholders of JSC Microfinance Organization "Crystal" |
|---|---|
| **შეტყობინება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალის" აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ** | **Notice on convention of the meeting of Shareholders of JSC Microfinance Organization "Crystal"** |
| **თარიღი: 16.08.2024** | **Date: 16.08.2024** |
| საქართველოს კანონის მეწარმეთა შესახებ მუხლი 189 პუნქტი 1-ის თანახმად, გაცნობებთ, რომ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალის" ("საზოგადოება") აქციონერთა საერთო კრება ჩატარდება 2024 წლის 6 სექტემბერს, თბილისის დროით 18:00 საათზე /სააღრიცხვო დღე: 2024 წლის 26 აგვისტო/ სხდომა ჩატარდება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. | Congruent to Article 189, Clause 1 of the Law of Georgia on Entrepreneurs, we hereby inform you that the Annual General Meeting of the shareholders of JSC Microfinance Organization "Crystal" (the "Company") shall be held on the 6th of September 2024 at 18:00 (Tbilisi time) with recorded date: 26 August 2024. The meeting will be held via electronic communication. |
| **კრების დღის წესრიგი მოიცავს:** | **The issues of the agenda of the meeting shall include:** |
| 1. სს მიკრობანკი „კრისტალი"-ს 2023 წლის 21 დეკემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების მოწონება სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების დამტკიცების შესახებ . | 1 Endorsement of Shareholders decision dated on 21 December 2023 on approving of Supervisory Board composition of JSC Microbank "Crystal" and remuneration of the Supervisory Board members. |
| 2. სებ-ის 2023 წლის 23 ივნისის #119 ბრძანების, ადმინისტრატორთა შესაფერისობის შესახებ დებულების მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №2-ის და წერილობითი განცხადების ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირის განსაზღვრა | 2 Determination of the person authorized to sign Appendix N2 of the National Bank of Georgia's Order #119 of June 23, 2023 on the Suitability of Administrators provided for in Article 10, Clause 1, Sub-Clause "f" and written statement. |
| 3. 2015 წლის 4 დეკემბრის აქციონერთა საერთო კრების და 2018 წლის 24 დეკემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ნამდვილობისა და მისი ძალადაკარგულად აღიარების საფუძვლების გაქარწყლების შესახებ | 3 On the validity of the decision of the general meeting of shareholders of December 4, 2015 and of the general meeting of shareholders of December 24, 2018 and the grounds for invalidating it |
| 4. სს მიკრობანკი „კრისტალი"-ს 2024 წლის 18 აპრილს აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული სს მიკრობანკი „კრისტალის" წესდების და სადამფუძნებლო შეთანხმების ახალი | 4 Determination of the person authorized to sign the new edition of the Charter and Founding Agreement of JSC Microbank "Crystal" approved by the General Meeting of Shareholders on 18 April 2024. |

| | |
|---|---|
| რედაქციის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა. | |
| 5. სხვა საკითხები | 5 AOB |
| გთხოვთ, დაესწროთ კრებას და მიიღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში, დღის წესრიგში შემავალ საკითხთან დაკავშირებით.<br>საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან.<br>მეწარმეთა შესახებ კანონის 200-ე მუხლის I ნაწილის თანახმად კრებას ესწრება და საჯარო აქტით ამტკიცებს ნოტარიუსი მინდია ღაღანიძე (საიდენტიფიკაციო # 60001073383)<br>აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. გასათვალისწინებელია, რომ სხდომის დისტანციურად (ელ. კომუნიკაციის არხით) ჩატარების შემთხვევაში, წარმომადგენლად უნდა დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი.<br>გთხოვთ წინასწარ უზრუნველყოთ ჩვენი შეტყობინება საერთო კრებაში ხმის უფლების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შესახებ და მოგვაწოდოთ შესაბამისი მინდობილობა. | Please attend the meeting and take part in voting on the issue under the agenda.<br>Only individuals, registered as shareholders on the accounting day are entitled to participate in and vote at the general meeting.<br>According to Article 200, Part I of the Law on Entrepreneurs, the meeting is attended by notary Mindia Ghaghanidze (identification # 60001073383) and minutes are approved by Public Act.<br>A shareholder can exercise the right to participate and vote in the General Meeting both personally and through a representative.<br>Please be notified, that in case of holding the session remotely (via e-communication channel), appointed representative should be a citizen of Georgia.<br>Please provide advance notice of participation and voting rights at the General Meeting through a representative and provide respective power of attorney. |
| კრების ჩატარებამდე შეგიძლიათ შეამოწმოთ კრებაში მონაწილეობის უფლება საზოგადოების რეგისტრატორთან (სს "კავკასრეესტრი", დამოუკიდებელი რეგისტრატორი მერაბ ვარდიაშვილი მის: ილია ჭავჭავაძის გამზირი 74/ა, თბილისი, 0162.) თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და/ან მინდობილობის წარდგენით, აქციონერთა რეესტრის მონაცემების გადამოწმების გზით. საზოგადოების რეგისტრატორს შეგიძლიათ მიმართოთ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10 სთ-დან 18 სთ-მდე. | Prior to holding of the meeting you may examine your right of participation in the meeting by way of examining the shareholders' registry data through presentation of your identification document and/or power of attorney to the registrar of the Company (JSC "Kavkasreestri", independent registrar Merab Vardiashvili ; address: 74/a Ilia Chavchavadze Ave. Tbilisi, 0162, Georgia). You may apply to the registrar of the Company from Monday through Friday from 10 A.M. to 6 P.M. |
| ა. ბაკურაძე | |
| **არჩილ ბაკურაძე** | **Archil Bakuradze** |
| **სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე** | **Chair of Supervisory Board** |